დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ქ.დმანისი

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 71 08
07/11/2019

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დმანისის მუნიციპალიტეტში 2020 წელს დასაფინანსებელი პროექტების განსაზღვრის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'' მე-19-ე მუხლის „ბ" პუნქტის, 61-ე მუხლის მეორე პუნქტისა და „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1.საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დმანისის მუნიციპალიტეტში 2020 წელს დასაფინანსებელი პროექტები განისაზღვროს შემდეგი სახით:

ა) სოფელ მაშავერაში სასაფლაოსთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია (900 გრძ.მ) (19 ქულა).

ბ) დმანისის მუნიციპალიტეტ სოფელ კაკლიანში (აზერბაიჯანული) ცენტრალური გზიდან სარიტუალო დარბაზამდე მისასვლელი გზის მოწყობა (570 გრძ.მ) (18 ქულა);

გ) სოფელ ამამლოს ახალ სასაფლაომდე მისასვლელი გზის მოწყობა (500 გრძ.მ) (15 ქულა);

დ) სოფელ დაგარახლოს სასაფლაოსთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია (850 გრძ.მ) (13 ქულა);

ე) სოფელ კიზილაჯლოს შიდა გზების რეაბილიტაცია (სასაფლაომდე მისასვლელი გზა) (1165 გრძ.მ) (13 ქულა);

2. ნება დაერთოს დმანისის მუნიციპალიტეტს მერს, პირველი პუნქტით განსაზღვრული პროექტების განხორცელების შესახებ წინადადება წარადგინოს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში, „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და

კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად.

3. დაევალოს დმანისის მუნიციპალიტეტის მერს:

ა) 2020 წლის დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტში გაითვალისწინოს პირველი პუნქტით განსაზღვრული პროექტების თანადაფინანსებისათვის საჭირო სახსრები;

ბ) პირველი პუნქტით განსაზღვრული პროექტებისათვის საჭირო სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისათვის შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

4. განკარგულებით გათვალისწინებული თანხების განკარგვა განხორციელდეს „2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის ძალაში შესვლის შემთხვევაში.

5. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

6. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბოლნისის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (ქ. ბოლნისი სულხან საბას ქ. N113).

მერაბ ოქრიაშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე

71-08-4-201911071154
https://edocument.ge/KvemoKartli/public/#/